

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა  
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ორსულ ქალთა და ახალშობილთა სამედიცინო მეთვალყურეობა, ეფექტიანი პატრონაჟი და მათი ჯანმრთელობის გართულებების პრევენცია. სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს ორსულებისა და ახალშობილებისთვის სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებებსა და მედიკამენტებზე ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას.

**პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება**

**ორსულთა ანტენატალური მომსახურება**

ორსულობის მიმდინარეობისა და ჯანმრთელობის პარამეტრების უწყვეტი მონიტორინგის მიზნით, ანტენატალური მომსახურების ფარგლებში, ორსული დადგენილი პერიოდულობით ახორციელებს ვიზიტებს იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მოხდა მისი პროგრამაში რეგისტრაცია. ანტენატალური მომსახურება ითვალისწინებს შემდეგი სერვისების სრულ დაფინანსებას თანაგადახდის გარეშე:

- ანტენატალური მეთვალყურეობის ვაუჩერი, რომელიც მოიცავს 8 ვიზიტს სამედიცინო დაწესებულებაში და მისი დაფინანსება თითოეულ ორსულზე შეადგენს 300 ლარს. აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში ფინანსდება შემდეგი სამედიცინო მომსახურებები:

| N | ვიზიტები                                    | მომსახურება  |
|---|---|--|
| 1 | პირველი ვიზიტი<br><br>ორსულობის 13 კვირამდე | ა) მენ-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) სისხლის საერთო ანალიზი;<br>გ) შარდის კულტურალური გამოკვლევა;<br>დ) სისხლის ჯგუფისა და რეზუს-კუთვნილების განსაზღვრა;<br>ე) რეზუსანტისხეულებზე ტესტირება რეზუსუარყოფითი სისხლის კუთვნილების ქალებში;<br>ვ) სკრინინგული ტესტები (B ჰეპატიტის ვირუსი, C-ჰეპატიტის ვირუსი, აივინფექცია და სიფილისი);<br>ზ) ულტრაბგერითი გამოკვლევა; |

| N | ვიზიტები                              | მომსახურება   |
|---|---------------------------------------|---|
|   |                                       | თ) სისხლში თირეოტროპული ჰორმონის განსაზღვრა.  |
| 2 | მეორე ვიზიტი<br>ორსულობის 18-20 კვირა | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) ულტრაბგერითი გამოკვლევა.   |
| 3 | მესამე ვიზიტი<br>ორსულობის 26 კვირა   | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) შარდში პროტეინურიის განსაზღვრა;<br>გ) ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში;<br>დ) რეზუსანტისხეულებზე ტესტირება რეზუსუარყოფითი სისხლის კუთვნილების ქალებში;<br>ე) სკრინინგი გესტაციური დიაბეტის გამოვლენის მიზნით. |
| 4 | მეოთხე ვიზიტი<br>ორსულობის 30 კვირა   | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) შარდში პროტეინურიის განსაზღვრა;<br>გ) სისხლში ჰემოგლობინის განსაზღვრა.   |
| 5 | მეხუთე ვიზიტი<br>ორსულობის 34 კვირა   | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) შარდში პროტეინურიის განსაზღვრა.  |
| 6 | მექვევსე ვიზიტი<br>ორსულობის 36 კვირა | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) შარდში პროტეინურიის განსაზღვრა;<br>გ) ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში;<br>დ) ჰემოლიზურ სტრუპტოკოკზე გამოკვლევა;<br>ე) ულტრაბგერითი გამოკვლევა.   |
| 7 | მეშვიდე ვიზიტი<br>ორსულობის 38 კვირა  | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) შარდში პროტეინურიის განსაზღვრა.  |
| 8 | მერვე ვიზიტი<br>ორსულობის 40 კვირა    | ა) მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია;<br>ბ) შარდში პროტეინურიის განსაზღვრა.  |

➤ ანტენატალური სკრინინგი სწრაფი/მარტივი მეთოდით:

1. აივ-ინფექცია/შიდსზე
2. B და C ჰეპატიტებზე
3. სიფილისზე;

ანტენატალური ვიზიტებითა და სკრინინგული კვლევებით სარგებლობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ ყველა ორსულს. მათ შორის, სკრინინგის სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ იმ ორსულებსაც, რომლებიც

პროგრამაში არ დარეგისტრირებულან, ან დარეგისტრირდნენ ორსულობის 13 კვირის შემდეგ, ან არ უსარგებლიათ პირველი ვიზიტით.

### **ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექცია/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისა და დედიდან შვილზე B ჰეპატიტის გადაცემის პრევენციის უზრუნველყოფა**

პირველადი სკრინინგული კვლევების ფარგლებში გამოვლენილი ორსულებისთვის დამატებითი დამადასტურებელი (კონფირმაციული) კვლევების ჩატარების მიზნით, როგორც ორსულისთვის, ასევე მათ ბავშვებისთვის ფინანსდება შემდეგი კვლევები:

- აივ-ინფექცია/შიდსზე კონფირმაციული კვლევა, რომელიც ხორციელდება აივ-ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ მიერ;
- სიფილისზე კონფირმაციული კვლევა;
- B და C ჰეპატიტების კონფირმაციული კვლევა, რომელიც ტარდება ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, მ.შ. C ჰეპატიტზე Cor-Ag მეთოდით „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში;
- B ჰეპატიტის დადასტურების შემთხვევაში, მშობიარობის შემდგომ, ინფექციის დედიდან შვილზე გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, ხორციელდება ახალშობილთა უზრუნველყოფა B ჰეპატიტის იმუნოგლობულინით.

### **სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში**

- პირველადი სკრინინგით სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში, დიაგნოზის დადასტურების მიზნით ფინანსდება დიაგნოსტიკა-კონფირმაციული კვლევა;
- სიფილისის დადასტურების შემთხვევაში, ხორციელდება ორსულთა ადრეული და მოგვიანებითი სიფილისის, ასევე სიფილისის სხვა დაუზუსტებელი ფორმების მკურნალობა.
- პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ახალშობილთა გამოკვლევა თანდაყოლილი სიფილისის გამოსარიცხად.

### **გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა**

სხვადასხვა ფაქტორების გავლენით განვითარებული გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი კვლევები:

- გენეტიკურ პათოლოგიებზე სკრინინგული გამოკვლევა სამმაგი ტესტისტემით;

- სკრინინგით გამოვლენილი ორსულების ინვაზიური კვლევა (ამნიოცენტუზი) კარიოტიპირების მეთოდით;

აღნიშნული კვლევები პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მაღალი რისკის ორსულების შემდეგი ჯგუფებისთვის ქ. თბილისის მასშტაბით:

- ქრომოსომული/გენური პათოლოგიის არსებობა ერთ-ერთ მშობელთან და/ან ოჯახის წევრთან;
- ნაადრევი ბავშვის დაბადება თანდაყოლილი განვითარების მანკით;
- ანამნეზში მკვდრადშობადობა ან ჩვეული აბორტები (3-ზე მეტი);
- ქალის ასაკი 35 და მეტი წლის;
- ნაყოფის ულტრაბგერითი გამოკვლევით განვითარების მანკის ნიშნების აღმოჩენა;
- ერთ-ერთი მშობლის ნარკომანია და ალკოჰოლიზმი;
- ხელოვნური განაყოფიერება;
- ორსულს აქვს ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი;
- ორსულობის პერიოდში მავნე ფაქტორების ზემოქმედება:
- ტერატოგენური მოქმედების მედიკამენტები (ანტიკონვულსანტები, იზოტრეტინონი, ვარფარინი, ციტოსტატიკები);
- ინფექციების მწვავე ფორმები: ციტომეგალოვირუსის და ტოქსოპლაზმას მწვავე ფორმები, სიფილისი, წითურა;
- ტერატოგენური მოქმედების ქიმიური აგენტები;
- მაიონიზირებელი რადიაცია.

**ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე.**

ახალშობილებში ჰიპოთირეოზის, ფენილკეტონურიის, ჰიპერფენილალანინემიისა და მუკოვისციდოზის ადრეული დიაგნოსტიკისა და ბავშვთა ასაკში უწყვეტი მონიტორინგის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

- ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა გამოვლენა ქვეყნის მასშტაბით დაბადებული ყველა ახალშობილის სკრინინგის მეშვეობით.
- ფენილკეტონურიისა და ჰიპერფენილალანინემიის მქონე ახალშობილთა მეორადი დიაგნოსტიკა დაავადების დადასტურების მიზნით.
- ფენილკეტონურიითა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ყოველთვიური მონიტორინგი და ამბულატორიული დახმარება.
- ფენილკეტონურიის და ჰიპერფენილალანინემიის პათოლოგიური გენების მატარებელი ოჯახების კონსულტირება ამ პათოლოგიათა პრევენციის მიზნით.
- ფენილკეტონურიითა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახის წევრებთან ტრენინგის ჩატარება.
- ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ჰიპოთირეოზის მეორადი დიაგნოსტიკა და ამბულატორიული მონიტორინგი, რაც მოიცავს:

ა) ენდოკრინოლოგის და პედიატრის მომსახურებას;

ბ) სისხლის ლაბორატორიულ კვლევას ჰორმონებზე (FT4, TSH).

**აღნიშნული კვლევები უზრუნველყოფილია საქართველოს მასშტაბით ყველა ახალშობილისა და ბავშვისთვის.**

**ახალშობილთა სმენის დიაგნოსტიკური კვლევა.**

ახალშობილებში სმენის დარღვევების ადრეული გამოვლენისა და შემდგომი ეფექტური მართვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი მომსახურებები:

- პირველადი სკრინინგით გამოვლენილი სმენის დარღვევების მქონე ახალშობილების მეორადი სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩაღრმავებული კვლევები (ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია);
- პირველადი და მეორადი სკრინინგით იდენტიფიცირებული სმენის სავარაუდო დარღვევის მქონე ბენეფიციარების მიდევნება შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებში ჩართვისა და საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით;

სმენის მეორადი სკრინინგი და ჩაღრმავებული კვლევები ფინანსდება ქ. თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში სმენის პირველადი სკრინინგით იდენტიფიცირებული ახალშობილებისთვის. ასევე იმ ახალშობილებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულნი და რეფერირებულნი არიან სმენის სკრინინგის აპარატებით აღჭურვილ რეგიონების სამშობიარო სახლებში. აჭარის ა/რ ტერიტორიაზე განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დაბადებული ახალშობილებისთვის, შესაბამის მომსახურებას აფინანსებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.

**ფარმაცევტული პროდუქტებით უზრუნველყოფა**

ორსულებში რკინადეფიციტური ანემიისა და ნაყოფის განვითარების სხვადასხვა დარღვევების პროფილაქტიკის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი მედიკამენტები:

1. ორსულთა უზრუნველყოფა ფოლიუმის მჟავით-ფოლიუმის მჟავით უზრუნველყოფა ხორციელდება ორსულობის დადგენისთანავე, იმ სამედიცინო დაწესებულებებიდან სადაც ორსული არის რეგისტრირებული, ექიმის მიერ გამოწერილი სრული კურსისათვის საჭირო რაოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზით შეწყდა ორსულობა და მიღებული მედიკამენტის გარკვეული რაოდენობა დარჩა გაუხარჯავი, ბენეფიციარს ეძლევა რეკომენდაცია, მედიკამენტის ამოწურვამდე გააგრძელოს ფოლიუმის მჟავის მიღება;

- რკინადეფიციტური ანემიის მქონე ორსულთა უზრუნველყოფა რკინის პრეპარატებით- რკინის პრეპარატის მიმღებად რეგისტრაციისათვის, ორსულმა/მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ნდობით აღჭურვილი პირის შემთხვევაში – ორსულისა და საკუთარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენით) და სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №1V-100ა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პაციენტის დიაგნოზის (რკინადეფიციტური ანემია), მედიკამენტის დღიური დოზის და მკურნალობის კურსისთვის (ერთი თვის) საჭირო რაოდენობის შესახებ;

ორსულს/მის ნდობით აღჭურვილ პირს შეუძლია მიიღოს რკინის პრეპარატი ავთიაქებში, ქვეყნის მასშტაბით პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა (ნდობით აღჭურვილი პირის შემთხვევაში – ორსულისა და საკუთარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენით) და რეცეპტის საფუძველზე;

რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობიდან ერთი თვის შემდეგ ორსულს უნდა ჩაუტარდეს ანემიის სკრინინგული კვლევა და გადაწყდეს მკურნალობის შემდგომი ტაქტიკა (შესაძლოა შეიცვალოს დანიშნული მედიკამენტის დღიური დოზა, რაც ფიქსირდება ელექტრონულ მოდულში);

- ახალშობილთა ჰემორაგიული დაავადების პროფილაქტიკისათვის ვიტამინი K1;

### **პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობის წესი**

- პროგრამით გათვალისწინებული ანტენატალური მეთვალყურეობის სერვისებით სარგებლობისთვის, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ქალმა ორსულობის 13 კვირის ვადამდე რეგისტრაციისთვის მიმართოს იმ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ორსულებს ემსახურება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული დაწესებულებების ჩამონათვალი განთავსებულია ბმულზე:  
[https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/dedata%20da%20bavshvta%20janmrteloba\(antenataluri%20metvalyureoba\).pdf](https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/dedata%20da%20bavshvta%20janmrteloba(antenataluri%20metvalyureoba).pdf)
- რეგისტრაციის გავლის შემდეგ, დაწესებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ორსულის სამუშაო/საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შემთხვევაში, ან ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული აუცილებლობის შემთხვევაში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით ფორმა NIV-100/ა.
- მშობიარობა/საკეისრო კვეთის სერვისის მისაღებად ორსულს აქვს დაწესებულების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.